

ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე

მეთოდური მითითება

მოცემული მეთოდური მითითება შეიცავს ინფორმაციას ვირტუალური ზონის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ასევე ვირტუალური ზონის პირის სტატუსით საქმიანობის წესის შესახებ, მათ შორის მისი საგადასახადო ვალდებულებებისა და უფლებების თაობაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 35-36 ნაწილები განმარტავს ვირტუალური ზონის პირის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცნებას. კერძოდ, ვირტუალური ზონის პირი არის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას და მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიები არის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები.

ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესი, პირობები და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის N49 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება). (იხ. <https://newzone.mof.ge/>)

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას, უფლებამოსილია ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მისაღებად მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს.

განცხადება ივსება ელექტრონულად საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ვებგვერდზე (www.fas.ge).

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს ინფორმაცია კანდიდატის მიერ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

პირს ვირტუალური ზონის პირის სტატუსი ენიჭება სტატუსის მინიჭებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. სტატუსი გაიცემა უვადოდ. ამასთან, სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ელექტრონული სერტიფიკატი, რომელიც გაიცემა სტატუსის მინიჭებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

ვირტუალური ზონის პირი მოგების გადასახადით მოგების განაწილებისას იბეგრება - მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. კერძოდ, ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

საქართველოს კანონმდებლობა ვირტუალური ზონის პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებასთან დაკავშირებით რაიმე ტიპის შეზღუდვას არ აწესებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათი დაწესებულია მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგების (მოგების განაწილების) ნაწილში. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება (მოგების განაწილება).

აღსანიშნავია, რომ „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიები განვითარება, რაც უზრუნველყოფს საქართველოში პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების შექმნას.

ამასთან, ამავე კანონის მე-6 მუხლით განიმარტება რა განეკუთვნება ვირტუალურ ზონაში საქმიანობას. კერძოდ, ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმართული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნასთან.

შესაბამისად, მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათის გავრცელების მიზნებისათვის არსებითია ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიდეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით (მათ, შორის მომსახურების სახით მიწოდებით) იღებდეს მოგებას.

რაც შეეხება პირის საქმიანობის საქართველოს ტერიტორიაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნად მიჩნევის საკითხს, აღნიშნულის მიზნებისათვის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ვირტუალური ზონის პირი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად არსებითად იყენებდეს საქართველოში შესაბამისი პროფილური განხრით დაქირავებული ფიზიკური პირების შრომას - ჰყავდეს სათანადო ადამიანური რესურსები საჭირო კვალიფიკაციით. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად აუცილებელი შესაბამისი აქტივები.

მაგალითი 1:

ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მის მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებს

გარეთ. საწარმოს დამფუძნებლები ფიზიკური პირები არიან. ამასთან, საწარმოს ჰყავს დაქირავებულები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიან საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

ვირტუალური ზონის პირმა აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული წმინდა მოგება (100 000 ლარის ოდენობით) სრულად გაანაწილა დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე.

მოცემულ შემთხვევაში:

იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალური ზონის პირი:

- საინფორმაციო ტექნოლოგიებს ქმნის საქართველოს ტერიტორიაზე;
- მოგებას იღებს მხოლოდ მის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად არსებითად იყენებს საქართველოში შესაბამისი პროფილური განხრით დაქირავებული პირების შრომას - ჰყავს სათანადო ადამიანური რესურსები საჭირო კვალიფიკაციით;
- საქართველოს ტერიტორიაზე ფლობს საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად აუცილებელ შესაბამის აქტივებს -

მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათის მიზნებისათვის მის მიერ მიღებული წმინდა მოგების დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე განაწილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლდება მოგების გადასახადისაგან.

მაგალითი 2:

ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის საინფორმაციო ტექნოლოგიებს და საქართველოს ფარგლებს გარეთ მათზე სარგებლობის უფლების გადაცემით იღებს შემოსავალს. ამასთან, საწარმოს ჰყავს დაქირავებულები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიან საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

მოცემულ შემთხვევაში:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგების (მოგების განაწილების) მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას.

განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც ვირტუალური ზონის პირი საინფორმაციო ტექნოლოგიებს ქმნის საქართველოს ტერიტორიაზე და მათ შესაქმნელად არსებითად იყენებს საქართველოში შესაბამისი პროფილური განხრით დაქირავებული პირების შრომას, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ის გარემოება, რომ პირი შემოსავალს იღებს საქართველოს

ფარგლებს გარეთ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე სარგებლობის და არა **საკუთრების** უფლების გადაცემით, არ უნდა გახდეს მის მიერ მიღებული მოგების განაწილებაზე მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათის დაკარგვის საფუძველი.

მაგალითი 3:

ვირტუალური ზონის პირი დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ. საინფორმაციო ტექნოლოგიები საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება უშუალოდ დამფუძნებლების მიერ. საწარმოში შრომითი ვალდებულების ფარგლებში სამუშაოს ასრულებს დირექტორი და ბუღალტერი. შესაბამისად, საწარმოს არ ჰყავს დაქირავებით მომუშავე პირები შესაბამისი პროფილური განხრით.

ვირტუალური ზონის პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდება ხორციელდება საქართველოს ფარგლების გარეთ.

დამფუძნებელი რეზიდენტი ფიზიკური პირები შემოსავალს იღებენ მხოლოდ დივიდენდის სახით.

მოცემულ შემთხვევაში:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.

განსახილველ შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაცია მისი ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით და დამფუძნებლის მიერ დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი ჩათვალოს ხელფასად.

იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში საინფორმაციო ტექნოლოგიები ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიაზე დაქირავებული შრომის შედეგად შექმნილად, მათი საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებულ მოგებაზე (მოგების განაწილებაზე) გავრცელდება მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათი.

ამ მიზნით, პროფილური განხრით დაქირავებულ პირებზე ხელფასის სახით არსებით განაცემად შესაძლებელია ჩაითვალოს ხელფასის სახით გაწეული ხარჯები საწარმოს ფინანსური შემოსავლის 40%-ის ოდენობით.

ამასთან, პირების მიერ შესრულებული სამუშაო შესაძლებელია შეფასდეს საბაზრო ფასით გონივრულ ფარგლებში, ასეთის განსაზღვრის შესაძლებლობის პირობებში.

თუ ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ფარგლებს გარეთ ახდენს იმ საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდებას, რომელიც შექმნილი აქვს ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს გათავისუფლება თუ არა მოგების გადასახადისგან აღნიშნული მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგების (მოგების განაწილების) მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას.

შესაბამისად, საგადასახადო შეღავათის მიზნებისთვის არსებითია კმაყოფილდებოდეს ორივე პირობა, კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნა და მიწოდება ხდებოდეს ვირტუალური ზონის პირის სტატუსის პირობებში.

ამრიგად, თუ განაწილებული მოგება ფორმირებული არ არის ვირტუალური ზონის პირის სტატუსის ფარგლებში, საწარმოს მიერ შესაბამისი სტატუსის მინიჭებამდე პერიოდებში მიღებული მოგების განაწილებაზე ვერ გავრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით დადგენილი შეღავათი და ამ სტატუსის მინიჭებამდე პერიოდებში მიღებული მოგების განაწილება დაექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს საგადასახადო ვალდებულებების გამოანგარიშების წესი მოგების გადასახადში, იმ პირობებში, როდესაც ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდებას ახორციელებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალური ზონის პირთან მიმართებაში მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათი დაწესებულია მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგების (მოგების განაწილების) ნაწილში და ამასთანავე, პირი შესაძლებელია შემოსავალს იღებდეს მის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებიდანაც, მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათის სარგებლობის მიზნით უნდა მოხდეს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული მოგების იდენტიფიცირება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოანგარიშებულ იქნას მთლიან მოგებაში გათავისუფლებული მოგების ხვედრითი წილი.

ამ მიზნით, თუ პირის მიერ გაწეული ხარჯების კონკრეტული შემოსავლისთვის მიკუთვნება შეუძლებელია, გათავისუფლებული მოგების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს მთლიან მოგებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის შესაბამისად.

ამასთან, თუ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია სხვა უფრო ზუსტი და გონივრული მეთოდის გამოყენება, პირი უფლებამოსილია მოგების გადასახადისაგან

გათავისუფლებული მოგების თანხა გამოიანგარიშოს ასეთი მეთოდის გამოყენებით.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის დებულებებიდან გამომდინარე, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული მოგების თანხის იდენტიფიცირებისათვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.

მაგალითი 4:

ვირტუალური ზონის პირი, რომელიც დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რისთვისაც არსებითად იყენებს საქართველოში შესაბამისი პროფილური განხრით დაქირავებული ფიზიკური პირების შრომას.

ამასთან, ვირტუალური ზონის პირი მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდებას ახორციელებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლების გარეთ.

ვირტუალური ზონის პირის წლიურმა წმინდა მოგებამ შეადგინა 1 000 000 ლარი, ხოლო წლიურმა ფინანსურმა შემოსავალმა - 2 500 000 ლარი. მიღებული შემოსავალი შედგება საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლებს გარეთ (2 000 000 ლარი) და საქართველოს ტერიტორიაზე (500 000 ლარი) მიწოდებით მიღებული შემოსავლისაგან.

პირმა მიღებული წმინდა მოგება სრულად გაანაწილა დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე.

მოცემულ შემთხვევაში:

თუ სხვა უფრო ზუსტი და გონივრული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს:

მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული მოგება შეადგენს 800 000 ლარს ($1\,000\,000 * 2\,000\,000 / 2\,500\,000$).

მოგების გადასახადით დასაბეგრი მოგება - 200 000 ლარს ($1\,000\,000 * 500\,000 / 2\,500\,000$).

ამასთან, ვინაიდან ვირტუალური ზონის პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, პირველ რიგში განაწილებულად აღნიშნული მოგება ჩაითვლება.

შესაბამისად, პირს მოგების გადასახადში საგადასახადო ვალდებულება წარმოეშვა 200 000 ლარის ოდენობით განაწილებულ მოგებაზე.

აღსანიშნავია, რომ “გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 40¹ მუხლის მე-5 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის „შენიშვნით“ განსაზღვრულია ვინ შეიძლება ჩაითვალოს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან

გათავისუფლებულ პირად. კერძოდ:

საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, ჩაითვლება პირი:

- რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (მაგალითად: თიზ-ის საწარმო, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი);

- რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მაგალითად: აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა)).

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად არ ჩაითვლება სპეციალური სავაჭრო კომპანია იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელთა მიმართ კმაყოფილდება ამავე კოდექსის 24¹ მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა.

მაგალითი 5:

ვირტუალური ზონის პირი წარმოადგენს რეზიდენტი იურიდიული პირის (შპს „A“) ერთპიროვნულ დამფუძნებელს. თავის მხრივ, ვირტუალური ზონის პირი დაფუძნებულია 2 ფიზიკური პირის მიერ.

შპს „A“-მ წმინდა მოგება 100 000 ლარი სრულად გაანაწილა დამფუძნებელზე.

მოცემულ შემთხვევაში:

“გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 401 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის „შენიშვნის“ შინაარსიდან გამომდინარე, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით, მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად ჩაითვლება შესაბამისი საქმიანობის ნაწილში.

ამრიგად, „A“-ს მიერ მიღებული წმინდა მოგების დივიდენდის სახით ვირტუალური ზონის პირზე განაწილებისას, დივიდენდის სახით, როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის, ნაწილში ვირტუალური ზონის პირი არ ჩაითვლება მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად.

შესაბამისად, „A“-ს მიერ მიღებული წმინდა მოგების დივიდენდის სახით ვირტუალური ზონის პირზე განაწილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹ მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე არ ჩაითვლება მოგების განაწილებად.

ამასთან, ვირტუალური ზონის პირის მიერ მიღებული დივიდენდის დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე შემდგომი განაწილება განიხილება მოგების

გადასახადით დაბეგვრის ობიექტად, რომელიც არ არის გათავისუფლებული მოგების გადასახადისაგან. პირი ზემოაღნიშნული დივიდენდის განაწილებისას ამ ტიპის შემოსავალთან მიმართებაში არ განიხილება მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით განსხვავებულ ნორმებს ვირტუალური ზონის პირის მიმართ არ აწესებს. შესაბამისად, ვირტუალური ზონის პირს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი განაცემის განხორციელებისას ევალეზა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

მაგალითი 6:

ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მის მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ. საწარმოს დამფუძნებლები ფიზიკური პირები არიან. ამასთან, საწარმოს ყავს დაქირავებულები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიან საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

საწარმომ განახორციელა 100 000 ლარის ოდენობით მიღებული წმინდა მოგების განაწილება, ასევე გასცა ხელფასი 20 000 ლარის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში:

მოგების გადასახადის მიზნებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოგების განაწილება გათავისუფლდება მოგების გადასახადისაგან.

გაცემულ დივიდენდთან დაკავშირებით, ვირტუალური ზონის პირი ვალდებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირისათვის გადახდილი დივიდენდი (100 000 ლარი) დაბეგროს გადახდის წყაროსთან გადახდილი თანხის 5%-იანი განაკვეთით და განახორციელოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშგება.

ამასთან, ვირტუალური ზონის პირი ასევე ვალდებულია საგადასახადო აგენტის ვალდებულება შეასრულოს გაცემულ ხელფასთან (20 000 ლარი) მიმართებაშიც.

რაც შეეხება ვირტუალური ზონის პირის სტატუსის გაუქმებას, აღსანიშნავია, რომ მთავრობის დადგენილების შესაბამისად, პირს შესაძლებელია გაუქმდეს ვირტუალური ზონის პირის სტატუსი, თუ მის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სტატუსი გამოყენებული იქნება გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით.

ამ შემთხვევაში, საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ პირის სტატუსი შესაძლებელია გაუქმდეს შესაბამისი ორგანოს მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

პირს ვირტუალური ზონის პირის სტატუსი ასევე შესაძლებელია გაუქმდეს

მისი მომართვის საფუძველზე.

ვირტუალური ზონის პირის სტატუსი უქმდება, თუ ვირტუალური ზონის პირს მიენიჭა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, ასეთ შემთხვევაში, ვირტუალური ზონის პირის სტატუსი გაუქმებულად ითვლება პირისათვის საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭების თვის დასაწყისიდან.

ინფორმაცია პირისათვის ვირტუალური ზონის პირის სტატუსის გაუქმების თაობაზე სტატუსის გაუქმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ წერილობით ეცნობება სსიპ – შემოსავლების სამსახურს.

თუ ვირტუალური ზონის პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სტატუსი გამოყენებული იქნება გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, პირს უუქმდება ვირტუალური ზონის პირის სტატუსი.

ამასთანავე, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პირის მიერ მიღებულ მოგებაზე არ გამოიყენება მოგების გადასახადით დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი.